ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №42

22 თებერვალი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიზნით გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 24-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 18 იანვრის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ N49 ბრძანებულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიზნით გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანტონ ხუნდაძე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ედიშერ სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) დავით ჯინჭარაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დ) თეიმურაზ კოროშინაძე – შ.პ.ს. „ადითის“ ჩოხატაურის ფილიალის დირექტორი – კომისიის წევრი;

ე) მანანა ჯინჭარაძე – ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი – კომისიის წევრი;

ვ) გიორგი დოლიძე – შ.ს.ს. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამმართველოს საუბნო განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი;

ზ) მარინე დეკანოზიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის, წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის განყოფილების სპეციალისტი წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის საკითხებში – კომისიის მდივანი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*